

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპარტამენტი

სამეცნიერო შრომების კრებული

*ISSN 1987-5851*

# **სელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები**

**IX**

**STUDIES IN ART CRITICISM**

ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ბათუმი 2022

**UDC (უკ) 7.072(051.2)**

რედაქტორი – **მაია ჭიჭილეიშვილი**

ტომის რედაქტორი – **სოფიო თავაძე**

ტომის სარედაქციო საბჭო: **ერმილე მესხია, ლელა ოჩიაური, ანა კლდიაშვილი, ხათუნა მანაგაძე, ქეთევან გოგოლაძე, ინგა ხალვაში**

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: **თამარ სირაძე**

Editor – **Maia Tchitchileishvili**

Volume editor – **Sopio Tavadze**

Volume Editorial Board: **Ermile Meskhia, Lela Ochiauri, Ana Kldiashvili, Khatuna Managadze, Ketevan Gogoladze, Inga Khalvashi**

Editor of the English Text: **Tamar Siradze**

**საქართველო, ბათუმი, ზურაბ გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32**

**Georgia, Batumi, Zurab Gorgiladze/Vazha-Pshavela №19/32 Street**

**[www.batu.edu.ge](http://www.batu.edu.ge)**

**[info@batu.edu.ge](mailto:info@batu.edu.ge)**

© ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა 2022

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2022

თბილისი, 0186, ა. პოლიბახოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

## თეატრმცოდნეობა

<b>თეიმურაზ კეჭერაძე</b> .....	168
თეატრი და სამშობლო	
<b>ლაშა ჩხარტიშვილი</b> .....	183
თამაში ცხოვრებაში და ცხოვრება თამაშში (ალექსანდრე ეკმანის „თამაშის“ მაგალითზე)	
<b>ანა მირიანაშვილი</b> .....	194
ევა ბალი და მისი საბავშვო თეატრი ბელგიაში	
<b>ანა კვინიკაძე</b> .....	203
ელფრიდე იელინეკის დრამატურგია	

## კინომცოდნეობა

<b>ლელა ოჩიაური</b> .....	213
ადამიანები. ადგილები. დრო	
<b>მაია ლევანიძე</b> .....	228
„ძველი“ და „ახალი“ თაობა ახალი სტილის ძიებაში. 1980-იანი წლების ქართული კინო	
<b>ლელა წიფურია</b> .....	244
რეალური ისტორიის სიურეალისტურ მხატვრულ ფილმად ქცევა ყველაზე ანტისაბჭოთა ფილმში, თენგიზ აბულაძის „მონანიებაში“	
<b>ირაკლი ფალავა</b> .....	254
ინგმარ ბერგმანი – პირობითობის რთული მოდელი	
<b>ნინო გელოვანი</b> .....	266
სატელევიზიო სერიალები და აუდიო-ვიზუალური თხრობის გავლენა საზოგადოების კულტურასა და ტრადიციებზე	

## THEATRE STUDIES

<b>Teimuraz Kezheradze</b> .....	<b>365</b>
Theater and Motherland	
<b>Lasha Chkhartishvili</b> .....	<b>367</b>
Play in Life and Life in Play (On the Example of Alexander Ekman's 'Play')	
<b>Ana Mirianashvili</b> .....	<b>369</b>
Eva Bal and Children's Theater in Belgium	
<b>Ana Kvinikadze</b> .....	<b>371</b>
Elfriede Jelinek's Dramaturgy	

## CINEMA STUDIES

<b>Lela Ochiauri</b> .....	<b>372</b>
Humans. Places. Time.	
<b>Maia Levanidze</b> .....	<b>373</b>
"Old" and "New" Generations in Search of New Styles (Georgian Cinema of the 1980s)	
<b>Lela Tsiphuria</b> .....	<b>375</b>
Becoming from Real Story to Surrealist Feature Film in the Most Anti-Soviet Film, Tengiz Abuladze's "Repentance"	
<b>Irakli Paghava</b> .....	<b>376</b>
Ingmar Bergman – Difficult Model of Conditionality	
<b>Nino Gelovani</b> .....	<b>377</b>
TV Series – The Impact of Audio-Visual Storytelling on Society about Culture and Traditions	

## MUSICOLOGY

<b>Marina Kavtaradze</b> .....	<b>379</b>
Georgian Music from Independence to Independence	

**ანა კვინიკაძე**  
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და  
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დოქტორანტი

## **ელფრიდე იელინეკის დრამატურგია**

*„ხმებისა და უკუხმების მუსიკალური ნაკადი-  
სათვის იმ რომანებსა და პიესებში, რომელნიც,  
უჩვეულო ლინგვისტური სიზუსტით, სოცია-  
ლური კლიშეებისა და მათი დამმონებელი ძა-  
ლაუფლების აბსურდულობას გვიჩვენებენ“.*

*შვედეთის აკადემია<sup>38</sup>*

ნობელის პრემია დაარსებიდან დღემდე (1901-2021 წწ.) სულ 58 ქალს მიენიჭა.<sup>39</sup> მათ შორის არის ავსტრიელი მწერალი და დრამატურგი ელფრიდე იელინეკი, რომელმაც ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში 2004 წელს მიიღო.<sup>40</sup>

შვედეთის აკადემიის მუდმივმა მდივანმა, ნობელის კომიტეტის წევრმა, პროფესორ ჰ. ენგდალმა იელინეკის შემოქმედება შემდეგნაირად დაახასიათა: „ელფრიდე იელინეკი მოფიქრებულად, განზრახ უღებს საკუთარი შემოქმედების კარებს იმ კლიშეებს, რომელთაც წალეკეს მედიასიახლენი და ფართოდ რეკლამირებული პოპ-კულტურა – ჩვენი დროის კოლექტიური ქვეცნობიერი. იგი მოხერხებულად იყენებს იაფფასიანი ლიტერატურის, კომიქსების, „საპნის ოპერების“, პორნოგრაფიისა და ფოლკლორისტული რომანების კოდებს – ისე, რომ ნიშანდობლივი უგუნურობა ამ ვითომდა

---

<sup>38</sup> ინგლისურიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა.

<sup>39</sup> 1895 წელს, შვედი ქიმიკოსის, ინჟინრისა და მეწარმის ალფრედ ნობელის ანდერძის თანახმად, საფუძველი ჩაეყარა ნობელის პრემიის დაარსებას. პრემია პირველად 1901 წელს გაიცა.

<sup>40</sup> [www.nobelprize.org](http://www.nobelprize.org), <https://www.nobelprize.org/prizes/lists/nobel-prize-awarded-women/> [გად.: 23.01.2022].

უვნებელი სამომხმარებლო ფენომენისა მთლიანად აშკარავდება. მწერალი ახდენს იმ ცრურწმენათა პაროდირებას, რომელთაც ჩვენ არასდროს ვაღიარებდით, და სალი აზრის მიღმა დაფარულ, საძაგელ ჩურჩულს იჭერს – იმ ჩურჩულს, რომელსაც არ გააჩნია არც სანყისი და არც ზუსტი ადგილი: მასების ხმას. იელინეკმა თქვა, მე ენას ვუკაკუნებ, რათა მისი დაფარული იდეოლოგიების ხმა გავიგო. სწორედ ასე უსმენს ექიმიც პაციენტის გულმკერდს. ჩვენ შეძრწუნებულნი აღმოვაჩინეთ, როგორ აირეკლება ყოველდღიურ საუბარში კლასობრივი ჩაგვრა, სექსიზმი, შოვინიზმი და ისტორიის დამახინჯება. სპორტი იმთავითვე საექვო საქმიანობად იქცევა თავისი სამხედრო წრთვნებით, უნიფორმებით, ძლიერისა და გამარჯვებულის კულტით. ბუნება პოლიტიკურ მახედ გვევლინება. ავსტრიის ალპური ლანდშაფტი იელინეკისთვის სრულყოფილი ფონი აღმოჩნდა იდილიის დასამსხვრევად“.<sup>41</sup>

ელფრიდე იელინეკი, პეტერ ჰანდკესა<sup>42</sup> და ბოთო შტრაუსთან<sup>43</sup> ერთად, ყველაზე მნიშვნელოვან თანამედროვე გერმანულენოვან დრამატურგად ითვლება. იგი 1946 წლის 20 ოქტომბერს ავსტრიაში, ქალაქ მიურცუშლაგში დაიბადა. მისი დედა, წარმოშობით რუმინელ-გერმანელი ოლგა ბიუხნერი, ბურჟუაზიული წრიდან, მდიდარი ვენელი ოჯახიდან იყო, ხოლო, იელინეკის მამა, ფრიდრიხ იელინეკი ჩეხი ებრაელი გახლდათ – სოციალისტი მუშათა კლასიდან<sup>4445</sup>. მამამისმა

---

<sup>41</sup> ინგლისურიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა.

<sup>42</sup> პეტერ ჰანდკე (Peter Handke, დ. 1942) – ავსტრიელი მწერალი, დრამატურგი, მთარგმნელი, პოეტი, კინორეჟისორი და სცენარისტი. 2019 წელს მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში.

<sup>43</sup> ბოთო შტრაუსი (Botho Strauss, დ. 1944) – გერმანელი დრამატურგი, რომანისტი და ესეისტი. მიღებული აქვს მრავალი პრემია, მათ შორის: გეორგ ბიუხნერის პრემია (1989), ჟან პაულის პრემია (1987), შილერის მემორიალური პრემია (2007). ქართული თეატრის სცენაზე, პირველად, ბოთო შტრაუსის პიესა „პარკი“ 1998 წელს სამეფო უბნის თეატრში დაიდგა, რეჟისორი: დავით საყვარელიძე.

<sup>44</sup> Elfriede Jelinek biography, notablebiographies.com [გად.: 23.03.2022].

მეორე მსოფლიო ომის დროს დევნის თავიდან აცილება მოახერხა, ვინაიდან ქიმიკოსი იყო და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ინდუსტრიულ წარმოებაში მუშაობდა, თუმცა, მისი არაერთი ახლო ნათესავი ჰოლოკოსტს ემსხვერპლა, რამაც მასზე სერიოზული ფსიქოლოგიური და ემოციური გავლენა მოახდინა. ელფრიდე იელინეკის მშობლებმა მასზე, როგორც პიროვნებაზე და მის შემოქმედებაზე გარკვეული კვალი დატოვეს. ელფრიდეს, განსაკუთრებით დაძაბული ურთიერთობა დედასთან ჰქონდა, რომელიც მისგან „მუსიკალური ვუნდერკინდის“ შექმნას ცდილობდა. სწორედ ამიტომ, ელფრიდეს ადრეული ასაკიდანვე შეასწავლიდნენ ფორტოპიანოზე, ვიოლინოზე, გიტარაზე, ორგანზე და სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრას. მოგვიანებით, მან სწავლა ვენის კონსერვატორიაში გააგრძელა, სადაც ორგანისტის დიპლომი მიიღო. ამ დროის განმავლობაში იელინეკი ცდილობდა დედის მოლოდინი გაემართლებინა, ამავდროულად კი ფსიქოლოგიურად არაჯანსაღ მამასთან გამკლავება უწევდა (Boiter, 1998: 199-207). მუსიკალური განათლების მიღების პარალელურად, იგი ვენის უნივერსიტეტში ხელოვნებისა და თეატრის ისტორიას შეისწავლიდა, თუმცა, შფოთვითი აშლილობის გამო მას სწავლის შეწყვეტა მოუწია, რის შედეგადაც მშობლების სახლში ერთი წლის განმავლობაში იზოლირებულად ცხოვრობდა. ამ პერიოდის განმავლობაში მან სერიოზული ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო. მწერლობა, საბოლოოდ მისი მხატვრული გამოხატვის მთავარი ფორმა გახდა.

ელფრიდე იელინეკის ლიტერატურული დებიუტი 1967 წელს ლექსების კრებულით „Lisas Schatten“ („ლიზას ჩრდილი“) შედგა, რასაც მისი პირველი რომანის „Wir sind Lockvögel Baby!“ („ჩვენ მატყუარები ვართ, პატარავ!“, 1970)

---

<sup>45</sup> Obscene Fantasies: Elfriede Jelinek's Generic Perversions, University of Massachusetts Amherst [გად.: 05.12.2020].

გამოცემა მოჰყვა. პირველი კრიტიკული აღიარება კი მიიღო რომანისთვის “Michael. Ein Jugendbuch für die Infantilgesellschaft” („მაიკლი. ახალგაზრდა ადამიანის გზამკვლევი ინფანტილური საზოგადოებისთვის“, 1972). 1969 წელს იელინეკმა პირველი ლიტერატურული ჯილდო მიიღო. ამ პერიოდში იგი პოლიტიკურადაც გააქტიურდა.

აკრიტიკებდა რა ავსტრიის ნაციისტურ წარსულს, იელინეკი ყოველთვის თავისი სამშობლოსგან გამიჯვნას ცდილობდა, თუმცა, მისი ტექსტები ავსტრიული ლიტერატურის ტრადიციაში ღრმად არის ფესვგადგმული. მის შემოქმედებაზე კარგად ჩანს ისეთი დიდი ავსტრიელი მწერლების გავლენა, როგორებიც არიან: ინგებორგ ბახმანი, მარლენ ჰაუს-ჰოფერი და რობერტ მუსილი (Honegger, 2006: 5-19).

ელფრიდე იელინეკი მიიჩნევა, როგორც ფემინისტი მწერალი ქალი, რომელიც ხშირად წერს გენდერულ ურთიერთობებზე, ქალის სექსუალობაზე და პოპულარულ კოლტურაზე. ზოგადად, მისი პოლიტიკური პოზიციები (განსაკუთრებით, ფემინიზმი და კომუნიზმი) მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას განმსაზღვრელი ფაქტორებია მისი შემოქმედების გააზრებისთვის, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს: რომანებს, ლექსებს, თეატრალურ ტექსტებს, რადიო პიესებს, კრიტიკულ ესეებს, სცენარებს, თარგმანებს, მუსიკალურ კომპოზიციებს და სხვ. (Stevens, 2016: 169-199). მის შემოქმედებაში ქალზე სექსუალური ძალადობა და ზოგადად სქესთა ბრძოლა წამყვანი თემებია. სატირულ რომანში „საყვარლები“<sup>46</sup> (“Die Liebhaberinnen”, გამოქვეყნდა 1975 წელს) მან აღწერა ქალის, როგორც მსხვერპლის მდგომარეობა ადამიანური სახის არმქონე პარტიარქალურ საზოგადოებაში. მის ნახევრად ავტობიოგრაფიულ რომანში „პიანისტი ქა-

---

<sup>46</sup> რომანი „საყვარლები“ 2008 წელს ქართულ ენაზე გამომცემლობა „არეტემ“ გამოსცა. მთარგმნელი: ანა კორძაია-სამადაშვილი.

ლი<sup>47</sup> („Die Klavierspielerin“) კი, იგი ეხება სექსუალურობის ჩახშობის, მოთოკვის საკითხებს. 2001 წელს რომანის „საყვარლები“ მიხედვით სკანდალურმა ავსტრიელმა კინორეჟისორმა მიხაელ ჰანეკემ ფილმი გადაიღო, რომელშიც მთავარ როლს ცნობილი ფრანგი მსახიობი იზაბელ იუპერი ასრულებდა. ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად. ელფრიდე იელინეკის მნიშვნელოვანი რომანები აგრეთვე მოიცავს: „Die Ausgesperrten“ („მშვენიერი, მშვენიერი დროება“, 1980), „Lust“ („ვნება“<sup>48</sup>, 1989), და „Gier“ („გაუმაძღრობა“, 2000).

თავის ტექსტებში იელინეკმა უარი თქვა ტრადიციული ლიტერატურული ტექნიკის კონვენციების გამოყენებაზე, ლინგვისტური და თემატური ექსპერიმენტების სასარგებლოდ. თითქმის ყველა მის ტექსტში ვხვდებით ავტორის უკომპრომისო გულწრფელობას, რასაც გარდაუვლად თან ახლავს სისასტიკის თემაც, როგორც უდიდესმა ესპანელმა დრამატურგმა, კალდერონმა დაწერა თავის პიესაში „ცხოვრება სიზმარია“: „არაფერია ამ ქვეყანაზე სისასტიკეზე უფრო ნამდვილი“.<sup>49</sup> სისასტიკის და გულწრფელობის კუთხით, ელფრიდე იელინეკის შემოქმედება (და ზოგ შემთხვევაში მისი ბიოგრაფია) მოგვაგონებს ინგლისელ დრამატურგ სარა კეინს, რომლის შემოქმედებაშიც იკვეთება მსგავსი თემები: ძალადობა, სისასტიკე, გენდერული ურთიერთობები, პორნოგრაფია, სამომხმარებლო საზოგადოების კრიტიკა, ადამიანის მარტოობა, ტკივილი და სულიერი აშლილობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელფრიდე იელინეკი მნიშვნელოვანი ფიგურაა არამხოლოდ მწერლობასა და ლიტერატურაში, არამედ დრამატურგიასა და თეატრშიც. 1979 წლი-

---

<sup>47</sup> რომანი „პიანისტი ქალი“ 2006 წელს ქართულ ენაზე გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა. მთარგმნელი: ლაშა დადიანი.

<sup>48</sup> რომანი „ვნება“ 2020 წელს ქართულ ენაზე გამომცემლობამ „ნიგნები ბათუმში“ გამოსცა. მთარგმნელი: ტატა კოტრიკაძე.

<sup>49</sup> თარგმანი ეკუთვნის დალი ინწკირველს. დაიბეჭდა ჟურნალ „ხელოვნებაში“ (1992, №9-10).

დან მოყოლებული დღემდე მას 40-მდე პიესა, რადიო პიესა და თეატრალური ტექსტი აქვს შექმნილი. მათ შორის აღსანიშნავია “Was geschah, nachdem Nora ihren Mann verlassen hatte; oder Stützen der Gesellschaften” („რა მოხდა მას შემდეგ, რაც ნორამ ქმარი მიატოვა; ან საზოგადოების საყრდენები“, 1979), რომელიც მან ჰენრიკ იბსენის კლასიკად ქცეული პიესის „თოჯინების სახლის“ გაგრძელებად დაწერა. იელინეკის პიესის სახელწოდება იბსენის კიდევ ერთი პიესის დასახელებას შეიცავს – “Samfundets støtter” („საზოგადოების საყრდენები“, 1877). ეს გახლავთ იბსენის პირველი პიესა, რომელშიც იგი სოციალური ცნობიერებისა და სამართლიანობის საკითხებს ეხება. პიესა „რა მოხდა მას შემდეგ, რაც ნორამ ქმარი მიატოვა; ან საზოგადოების საყრდენები“ პირველად 1979 წელს გამოიცა და იმავე წლის ოქტომბრის თვეში შედგა მისი პრემიერა ავანგარდულ ფესტივალზე steirischer herbst ქალაქ გრაცში, რეჟისორი – კურტ იოზეფ შილდკნეხტი (Kurt Josef Schildknecht). ელფრიდე იელინეკის თეატრალური დებიუტი კრიტიკული წრეებისა და მედიის მიერ დიდწილად უგულვებელყოფილი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ნობელის პრემიის ლაურეატი ავტორის პირველი პიესა არაერთი ახალი თემისა და ფორმალური სიახლეების დაწერგვას ემსახურებოდა, რომლებიც ავტორის მთელ ლიტერატურულ შემოქმედებას ახასიათებს. პიესა იბსენის „თოჯინების სახლის“ ტრადიციას მიჰყვება და გარკვეულწილად მისივე რომანს „საყვარლები“ ეყრდნობა (Konzett, 2007: 101-110). პიესაში ავტორი განიხილავს ქალთა ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას ავსტრიისა და ზოგადად ევროპის კაპიტალისტური ძალაუფლების სტრუქტურაში. XX საუკუნის დასაწყისში ჰენრიკ იბსენი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც „გაბედა“ და დაწერა ე.წ. „ფემინისტური დრამა“, რომელმაც შემდგომ წლებში არაერთ დრამატურგს მისცა შთაგონების წყარო, მსგავსად ელფრიდე იელინეკისა. „თოჯინების სახლის“ „გაგრძელება“, აგრეთვე დაწერილი აქვს თანამედროვე ამერი-

კელ დრამატურგ ლუკას ჰნათს (Lucas Hnath). მისი პიესა “A Doll's House, Part 2” („თოჯინების სახლი, ნაწილი მეორე“, 2017) აგრეთვე განიხილავს გენდერულ ურთიერთობებსა და საზოგადოების მიერ ერთობლივად დადგენილ წესებს.<sup>50</sup>

შემდეგი პიესა, რომელიც ეფრიდე იელინეკმა დაწერა, გახლავთ “Clara S, musikalische Tragödie” („კლარა შ, მუსიკალური ტრაგედია“, 1982), რომლის პრემიერა 1982 წლის 24 სექტემბერს Theatre der Stadt Bonn-ში, გერმანიაში შედგა, რეჟისორი – ჰანს ჰოლმანი (Hans Hollmann). პროფესიული კრიტიკისა და მაყურებლის შეფასება ამ შემთხვევაშიც არაერთგვაროვანი იყო – ტიპიური რეაქცია იელინეკის ადრეულ პიესებზე. პიესაში ავტორი იკვლევს თავის ერთ-ერთ მთავარ თემას: ხელოვნების სამყაროს პრეტენზიებს, მის დამოკიდებულებას გენდერთან, მის კომერციალიზმსა და ექსპლუატაციისკენ მიდრეკილებას. მან ეს თემა მოგვიანებით გააფართოვა მის რომანში „პიანისტი ქალი“.<sup>51</sup> პიესა „კლარა შ, მუსიკალური ტრაგედია“ სამი ისტორიული ადამიანის ანაქრონისტულ<sup>52</sup> შეხვედრას აღწერს: 1929 წელს კლარა<sup>53</sup> და რობერტ შუმანები იტალიელ პოეტ გაბრიელ დ'ანუნციოს მის ვილაში ხვდებიან. პიესის მთავარი თემა არის დაძაბულობა

---

<sup>50</sup> ლუკას ჰნათის აღნიშნული პიესა სახელწოდებით „თოჯინების სახლი 15 წლის შემდეგ“ 2021 წელს დაიდგა გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, რეჟ: თომა ათანელიძევილი.

<sup>51</sup> Kraft, Helga W., Clara S. Musikalische Tragödie, The Literary Encyclopedia,

<https://www.litencyc.com/php/sworks.php?rec=true&UID=16878>

[გად.: 27.01.2022].

<sup>52</sup> ანაქრონიზმი – ქრონოლოგიური შეუსაბამობა. ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის, პიროვნებისა თუ ნივთის მიკუთვნება სხვა დროისათვის, სხვა ეპოქისათვის.

<sup>53</sup> კლარა შუმანი (Clara Josephine Wieck Schumann) – გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი და მუსიკალური პედაგოგი, კომპოზიტორ რობერტ შუმანის ცოლი.

ხელოვნებასა და ფულს შორის, რომელიც საბოლოო ჯამში კლარაზე ახდენს ზეგავლენას. ცნობილ პიანისტთან და კომპოზიტორთან ქორწინების შემდეგ, კლარა მთლიანად რობერტის კარიერაზე ზრუნავს და ახლა მხოლოდ დიდი ხელოვნის თავგანწირული ცოლია. აღნიშნული პიესით იელინეკი უპირისპირდება მამაკაცის ორიგინალურობაზე და გამორჩეულობაზე მოგონილ დამოკიდებულებას საკუთარი წერის პრაქტიკით – პიესაში ჩნდებიან არა პერსონაჟები, არამედ პერსონაჟები, როგორც ენის მატარებლები, რომლებიც მოძრაობენ უცხო ხმების ქსელში. კლარა შ.-ს პერსონაჟი ანგრევს გენიოსის კულტს და აჩვენებს ხელოვნების ბიზნესში ქალების მიერ საკუთარი შემოქმედების რეალიზაციის შეუძლებლობას.<sup>54</sup> ისევე, როგორც მის სხვა პიესებში, აქაც იელინეკი იყენებს ინტერტექსტუალობას, იმისათვის რომ გააშიშვლოს მითები, ცნებები, კლიშეები და საზოგადოების მიერ კოლექტიურად მიღებული იდეები.<sup>55</sup>

ელფრიდე იელინეკი ფემინისტური თემების გარდა სოციალურ და პოლიტიკურ თემებზეც აქტიურად წერს. სწორედ ამიტომ, მინდა მისი ერთ-ერთი უახლესი და საკამათო პიესაც “Bambiland” („ბამბილენდი“, 2003) ვახსენოთ. ეს პიესა უაღრესად კრიტიკულია შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიმართ ერაყში. „ბამბილენდიც“ იელინეკის სტილშია დაწერილი – მასში ვხვდებით ძალადობის მრავალ აქტს, როგორც ფიზიკურს, ასევე სექსუალურს. პიესაში ავტორის კრიტიკა ასევე მიმართულია საერთაშორისო მედიისაკენ, უფრო ზუსტად – დასავლური პრესისა და მისი როლისკენ ერაყის ომში. პიესის ორიგინალი ვერსია და მისი ინგლისური თარგმანი (მთარგმნელი: ლილიან ფრიდბერგი)

---

<sup>54</sup> <https://www.ulrikeottinger.com/en/stage-details/clara-s-2> [გად.: 27.01.2022].

<sup>55</sup> Kraft, Helga W., Clara S. Musikalische Tragödie, The Literary Encyclopedia, <https://www.litencyc.com/php/sworks.php?rec=true&UID=16878> [გად.: 27.01.2022].

ხელმისაწვდომია ელფრიდე იელინეკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.elfriedejelinek.com](http://www.elfriedejelinek.com)).

მიუხედავად იმისა, რომ ელფრიდე იელინეკი საერთაშორისოდ აღიარებული დრამატურგია, საკმაოდ რთულია მისი პიესების ინგლისურ ენაზე მოძიება. ინტერნეტ სივრცეში სულ რამდენიმე პიესის ინგლისური თარგმანის ნახვაა შესაძლებელი. ელფრიდე იელინეკის რომანებისგან განსხვავებით, მისი თეატრალური ტექსტები ქართულ ენაზე ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი. სწორედ ამიტომ, ქართულ თეატრს ჯერ კიდევ წინ აქვს იელინეკის დრამატურგიის აღმოჩენა.

მოსხენება ელფრიდე იელინეკზე შვედეთის აკადემიის მუდმივი მდივნის, ნობელის კომიტეტის წევრის, პროფესორ ჰ. ენგდალის მიმართვით დავინწყეთ. მოდით, მისივე სიტყვებით დავასრულოთ:

„ღრმად პატივცემულო ელფრიდე იელინეკ!

ჰეგელის სიტყვებით, ქალი საზოგადოების ირონიაა. თქვენი შემოქმედებით, თქვენ ახალი მიმართულება მიეცით ლიტერატურაში ქალთა ერეტიკულ ტრადიციას და განავითარეთ ლიტერატურული ხელოვნება. თქვენ არ გიცდიათ მორგებოდით საზოგადოებასა და თქვენი დროის ჩარჩოებს, არც საკუთარი ნაწარმოებების მკითხველთა გემოვნებისათვის მისადაგება ყოფილა ოდესმე თქვენი მიზანი. თუკი ლიტერატურა თავისი დეფინიციით ის ძალაა, რომელიც არაფერს ეპუება და თავს არაფერს უხრის, ჩვენს დროში თქვენ ამის ერთ-ერთი ყველაზე ჭეშმარიტი მაგალითი ბრძანდებით“.<sup>56</sup>

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გოგოლაშვილი ნ., ნობელის პრემიის ლაურეატები, ელფრიდე იელინეკი, ჟურნალი „საუნჯე“, №5-6, 2006.

---

<sup>56</sup> ინგლისურიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა.

2. ცხოვრება სიზმარია, კალდერონი, ჟურნალი „ხელოვნება“, თბილისი, №9-10, 1992.
3. Boiter, V., *Elfriede Jelinek, Women Writers in German-Speaking Countries*, Westport, CT: Greenwood Press. pp. 199–207, 1998.
4. Elfriede Jelinek biography, [www.notablebiographies.com](http://www.notablebiographies.com) [გად.: 23.03.2022].
5. Honegger, G., How to Get the Nobel Prize Without Really Trying, *Theater*, 36 (2): 5–19, 2006.
6. Konzett, M., Lamb-Faffelberger, M., *Women, Socialization, and Power, Elfriede Jelinek: writing woman, nation, and identity: a critical anthology*. Associated University Presse. pp. 101–110, 2007.
7. Kraft, Helga W., Clara S. *Musikalische Tragödie*, *The Literary Encyclopedia*, <https://www.litencyc.com/php/sworks.php?rec=true&UID=16878> [გად.: 27.01.2022].
8. *Obscene Fantasies: Elfriede Jelinek's Generic Perversions*, University of Massachusetts Amherst [გად.: 05.12.2020].
9. Stevens, L., *Elfriede Jelinek's Bambiland, Anti-War Theatre After Brecht*, Springer, pp. 169–199, 2016.
10. [www.nobelprize.org](http://www.nobelprize.org), <https://www.nobelprize.org/prizes/lists/nobel-prize-awarded-women/> [გად.: 27.01.2022].
11. <https://www.ulrikeottinger.com/en/stage-details/clara-s-2> [გად.: 27.01.2022].

**Ana Kvinikadze**  
*Shota Rustaveli Theatre and Film*  
*Georgia State University*  
*PhD Student*

### **Elfriede Jelinek's Dramaturgy**

Since its foundation (between 1901-2021), the Nobel Prize in Memory of Alfred Nobel have been awarded to women 58 times. Among them is the Austrian playwright and novelist Elfriede Jelinek, who was awarded the Nobel Prize in Literature in 2004 „for her musical flow of voices and counter-voices in novels and plays that with extraordinary linguistic zeal reveal the absurdity of society's clichés and their subjugating power.” (Swedish Academy; NobelPrize.org).

Elfriede Jelinek considered being the most influential living playwright of the German language world. Jelinek's work includes novels, poetry, theatre texts, radio plays, essays, translations, screenplays, musical compositions, etc. Her texts so far have been translated into English, French, Italian, Spanish, Swedish, Portuguese, Polish, Danish, Russian, Lithuanian, Slovenian, Georgian, Romanian and many other languages. Despite her widespread acclaim, Jelinek's work remains highly controversial to some literary and theatre critics for her visions and writing style – as she, from the very beginning, denied using the conventions of traditional literary techniques in favour of linguistic experiments. It is in this respect that Jelinek is interesting.

In the present article, she is seen as a feminist writer whose texts often deal with gender relations, female sexuality, and popular culture (based on her most notable plays, such as „What Happened After Nora Left Her Husband; or, Pillars of Society”, „Clara S.” and „Bambiland”). In almost all of her texts, we encounter the author's uncompromising sincerity, which is often accompanied by the theme of cruelty. In terms of cruelty and sincerity, the work of Elfriede Jelinek (and at some point, her biography) reminds us of the English playwright and theatre director Sarah Kane, whose work explores similar themes: violence, cruelty, gender relations, pornography, consumer society criticism, and mental disorder.

Although Elfriede Jelinek is an internationally acclaimed playwright, it is problematic to find her theatre texts in English. It is even harder to find them in Georgian since, unlike Elfriede Jelinek's novels, her theatrical texts are not yet available in the Georgian language. Hence Georgian theatre still has a long way to go before discovering Jelinek's dramaturgy.

## **CINEMA STUDIES**

**Lela Ochiauri**

*Shota Rustaveli Theater and Film*

*Georgia State University*

*Professor*

### **Humans. Places. Time**

Nothing so accurately expresses visually time, epoch, political, economic, social or cultural condition of a country as architecture. Secular. Cult. Public or private. It is both changeable and timeless over time. It forever captures events, expresses and stores them in one way or another, in a state, in a form. Forms of public administration. Peace and war. Peaceful life or dramatic alternation of events are icons in the architecture of buildings, streets, cities or villages and the history of the people living in them (sometimes only a few years, sometimes centuries).

Cinema as the most "real" field of visual art, "close to life," which, although transformed into a new artistic reality, but the existence of human beings in the real environment (even the most unreal and conditional), naturally depicts characters settled in countries, cities, villages, streets, homes. Familiar or unfamiliar, in the data depicted with "familiar" or separated characteristic signs. It preserves the traces of their existence, history and transmits them to the future.

Just like in world cinema, a place in Georgian cinema – a street, a city, a village "natural" and "inevitable" in addition to the "use" and the workload in practice, has become a necessary and important artistic expression of the director's intention, an artistic metaphor.